

ძვირფასო მკითხველო,

„ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა“ განაახლა ყოველთვიური ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა. ბიულეტენი განკუთვნილია „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრთათვის და მისი შინაარსიც ამან განაპირობა: ქსელის წევრ ორგანიზაციებში ჩატარებული შეხვედრების მიმოხილვა, საერთაშორისო სიახლეები ზიანის შემცირების საკითხებზე, ასევე, თვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები ზიანის შემცირების სფეროში. ელექტრონულ ბიულეტენში, იხილავთ ინფორმაციას „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრი ორგანიზაციების აქტივობების შესახებ და მომდევნო თვის შეხვედრების ანონსს. საინფორმაციო ბიულეტენი ქართულენოვანია და ელექტრონული ფოსტით გაეგზავნება „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მხარდამჭერებს.

ს ჰეპატიტის სამიტი ამსტერდამში

HEPATITIS-C
Community Summit
Amsterdam 18/19 April 2017

18-19 აპრილს ქ. ამსტერდამში ს ჰეპატიტის თემის აქტივისტების მონაწილეობით სამიტი <http://hepatitiscommunitysummit.eu/> გაიმართა. აღნიშნული ღონისძიება ყოველწიურად წინ უსწრებს ღვიძლის საერთაშორისო კონგრესს EASL-ს, რომელიც ასევე ქ. ამსტერდამში 18-22 აპრილს ჩატარდა.

აღნიშნულ სამიტზე მომხსენებლად მიწვეულ იქნა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის პროგრამის დირექტორი მაკა გოგია. მის მიერ გაკეთდა მოხსენება თემატურ პანელზე: A POLITICIAN INTERVIEWS EXPERTS FROM DIFFERENT AREAS: ELIMINATION – CAN WE MAKE IT? წარდგენილ პრეზენტაციაში აღწერილ იქნა სამოქალაქო საზოგადოების მიერ განხორციელებული საადვოკაციო ღონისძიებები, რომელიც წინ უძღოდა ქვეყანაში ს ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის დაწყებას. აგრეთვე დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა 2 წლის მანძილზე ელიმინაციის პროექტის ძირითადი მიღწევების და არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაცია. პროექტის მნიშვნელობიდან და მიღწევებიდან გამომდინარე, მოხსენებამ დიდი დაინტერესება გამოიწვია. სამიტზე აღინიშნა, რომ თუ ელიმინაციის მიღწევა ისეთმა პატარა ქვეყანამ, როგორც საქართველოა შეძლო – ამის მიღწევა სხვა ქვეყნებშიც იქნება შესაძლებელი, რომ საქართველოს მიღწევები მთელი მსოფლიოსთვის მაგალითია



და მსოფლიო ჯანდაცვაში ჰეპატიტების ავადობის წილის მნიშვნელოვან შემცირებას შეუწყოს ხელი. სამიტის ბოლოს, თემის აქტივისტების მიერ მომზადდა დეკლარაცია, რომლის წარდგენაც http://www.hepatitis-c-initiative.eu/.../declaration_web.pdf ღვიძლის საერთაშორისო კონგრესზე მოხდა.

სამიტზე წარმოდგენილი პრეზენტაციებისთვის ეწვიეთ საიტს <http://hepatitiscommunitysummit.eu/presentations/>

ფოტო – <http://hepatitiscommunitysummit.eu/pictures/>

ვიდეო – <https://www.youtube.com/watch?v=NY0BfPK38mU>

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის საერთო კრება

20 აპრილს, სასტუმრო ქორთიარდ მერიოტში ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის საერთო კრება გაიმართა, რომელსაც ქსელის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სხდომას უძღვებოდა ქსელის აღმასრულებელი დირექტორი კახა კვაშილავა. მან დამსწრეებს წარუდგინა ზმ ქსელის გამგეობის ანგარიში და ქსელში მიმდინარე პროექტების: „ზიანის შემცირება მუშაობს – დააფინანსეთ“, – „აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური პლატფორმა ქალების, გოგონებისა და ტრანსგენდერებისთვის აივ/შიდსის დაჩქარებული პასუხისთვის“, „აივისა და ჰეპატიტი ც-ს პრევენციისა და მომხდარის შემსუბუქების უნარების გაძლიერება საქართველოში“, „ჰოლისტური ზრუნვისა და რეაბილიტაციის მოდელების განვითარება საქართველოში“, „ნარკოტიკების ინექციურად მომხმარებლებისთვის და მათი სქესობრივი პარტნიორებისთვის აივ პრევენციული სერვისების მიწოდება“, – ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ პირთა უფლებებისთვის“ შესახებ პრეზენტაცია გააკეთა. სხდომის მონაწილეებს ქალბატონმა დალი უშარიძემ წარუდგინა ზმსქ-ის **2017-2018 წლების სტრატეგიული დოკუმენტი**. დოკუმენტზე მსჯელობისას მიღებული იქნა გადაწყვეტილება სტრატეგიაში სიახლეების შეტანის შესახებ, რომელიც განაპირობა დონორიდან სახელმწიფო დაფინანსებაზე გადასვლის პროცესმა, ჰეპატიტი ც-ს ელიმინაციის პროგრამის ახალ ფაზაში შესვლამ და ორგანი-



ზაციის განვითარებაში გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვამ. ქ-ნმა დალიმ აქცენტი გააკეთა ზმსქ-ისთვის გლობალური ფონდის მიღმა სახელმწიფო დაფინანსების პოტენციურ ბარიერებზე. მისი თქმით აუცილებელია გარდამავალ პერიოდში – სამოქალაქო სექტორს გააჩნდეს პრიორიტეტი და იყოს კონკურენტუნარიანი. ამ უკანასკნელი კომპონენტის ამაღლებისთვის საჭიროა ორგანიზაციული განვითარების დონის შეფასება. სერვისების გაუმჯობესების კონცეფცია მიბმული უნდა იყოს ბენეფიციარისთვის მიწოდებული სერვისის ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნული მიდგომების გათვალისწინებით ყალიბდება სტანდარტი. მიმდინარეობს – გაიდლაინისა და პროტოკოლის შემუშავება. მედეა ხმელიძის თქმით



GHRN-ის მიერ მომზადებული დოკუმენტები გათვალისწინებულია ტრანზიციის გეგმის დანართად. ქალბატონ დალის აღნიშვნით, ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის ტრიბუნის გამოყენება მნიშვნელოვანი საშუალებაა ქსელის ფუნქციის გამოსაკვეთად.

საერთო კრების მიმდინარეობისას ქალბატონ ქეთევან ბიძინაშვილმა აღნიშნა, რომ ნათელი იყოს – ქსელში ფუნქციების გადანაწილება და მიმართულებების დანიშნულებები საჭიროა მოხდეს ერთ ჩარჩოში მათი სტრუქტურირებული ასახვა. აღნიშნულის შემუშავება მოითხოვს სამუშაო შეხვედრების დანიშვნას. კახა კვაშილავას აღნიშვნით, სამდივნოს დონეზე – მოვალეობები განსაზღვრული და გადანაწილებულია. ასევე, გამგეობასა და სამდივნოს შორის კომუნიკაცია კოორდინირებულია. ქალბატონმა დალი უშარიძემ გამოხატა მოსაზრება: გამგეობას დაევალოს გარკვეული სტრატეგიული საკითხების კურირება. საერთო კრებას წარედგინა გამგეობის მიერ წარმოდგენილი წესდებაში შესატანი ცვლილე-

ბა. კერძოდ: ა) გამგეობის თავმჯდომარე ვალდებულია გამგეობის მიერ პროგრამული და ფინანსური რესურსების განაწილებისას და მმართველობის სფეროში სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით არსებული საკითხების განხილვისას დააფიქსიროს კონკრეტული სუბიექტის(ების) ინტერესთა კონფლიქტში ყოფნა და უზრუნველყოს საკითხის ინტერესთა კონფლიქტში მყოფი პირის(ების) მონაწილეობის გარეშე განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. ბ) მაშინ, როდესაც ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო ქსელის გამგეობა არ იქნება უფლებამოსიანი მიიღოს გადაწყვეტილება, გამგეობის თავმჯდომარე საკითხს გადასაწყვეტად გადასცემს საერთო კრებას, რომელიც უფლებამოსილია საკითხი განიხილოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით და გადაწყვეტილება მიიღოს ხმათა უმრავლესობით ონლაინ ხმის მიცემის/გამოკითხვის სერვისის გამოყენებით. საერთო კრების მსვლელობისას გამოიკვეთა აზრი – წესდებაში დამატებით გაკეთდეს შემდეგი ჩანაწერი: ინტერესთა კონფლიქტის სხვა საკითხების რეგულირება ხდება ზიანის შემცირების ქსელის პო-



მომავლისკენ“, „რეალური ხალხი, რეალური ხედვა“, „რუბიკონი“, მსოფლიო ექიმები-საფრანგეთ, „ახალი ვექტორი“, „სდექ“, „ფენიქსი – 2009“, ლაშა აბესაძე.

დამოკიდებულების კვლევითი ცენტრის „ალტერნატივა ჯორჯიას“ ხელმძღვანელი დავით ოთიაშვილი „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ გამგეობის თავმჯდომარე გახდა.

იხილეთ „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ 2016 წლის ანგარიში სრულად – [2016 წლის ანგარიში](#).



ლიტიკის დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც დამტკიცებულია 2015 წელს ჩატარებული საერთო კრების მიერ. ორგანიზაციის წარმომადგენელმა – მხარი დაუჭირა გამგეობის მიერ წარმოდგენილ წესდებაში განსახორციელებელ ცვლილებებს. საერთო კრების დასკვნითი ნაწილი – გამგეობის არჩევა გაიმართა. ზიანის შემცირების ქსელის გამგეობა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ალტერნატივა ჯორჯია“, „ნაბიჯი

ზიანის შემცირების საერთაშორისო კონფერენცია მონრეალში

14-17 მაისს ქ. მონრეალში, კანადაში ზიანის შემცირების საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია ყოველ 2 წელიწადში ერთხელ იმართება და მსოფლიოს 80-მდე ქვეყნის წარმომადგენელი სტუმრობს. კონფერენციაზე ფართო საზოგადოების წინაშე იმ პროგრამული მიღწევების და კვლევის შედეგების წარდგინება ხდება რასაც ქვეყნები აღნიშნულ დარგში ახორციელებენ. ზიანის შემცირების პროგრამის დირექტორის მაკა გოგიას მიერ კონფერენციაზე გაკეთდა მოხსენება საქართველოში ნალოქსონის პროგრამის შესახებ: „Increasing accessibility to Naloxone and medical care through community based interventions in Georgia“ პრეზენტაციაში ასახუ-





HR17

25th International Harm Reduction Conference

14-17 May 2017 Montréal, Canada

ლი იყო ნალოქსონის პროგრამის არსებული მიღწევები, ეფექტურად განხორციელებული საადვოკაციო აქტივობები, რომელმაც განაპირობა ხელმისაწვდომობის გაზრდა ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრეპარატზე და ასეულობით სიცოცხლე გადაარჩინა. პირველ რიგში, ეს მიღწევები დამსახურებაა პროგრამის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციების – „ახალი გზა“ [Dali Usharidze](#), [Zaza Karchkhadze](#), [Nana Darsavelidze](#). „ახალი ვექტორი“ [Koka Labartkava](#), [Lasha Abesadze](#), „ნაბიჯი მომავლისაკენ“ [Ketevan Bidzinashvili](#), „ქსენონი“ [Nino Janashia](#), „იმედი“ [Zoria Tsurtsumia](#), „ჰეპა პლუსი“ [Manana Sologashvili](#), „ფენიქსი“ [Otari Jijieshvili](#), [Enri Maminashvili](#), „ორდუ“ [Vakhtang Gamsakhurdia](#); „ზურა დანელიას კავშირი თანადგომა“ [Manana Minjia](#), [Maiko Baratashvili](#), „აკესო“ [Irakli Irakli Kirtadze](#), [Ekaterine Gardapkhadze](#) რომლებიც არაერთი სირთულის მიუხედავად გულმოდგინედ ახორციელებენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისების მიწოდებას ნიშ-ებისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს, თავად თემის წევრების და თანასწორგანმანათლებლების წვლილი აღნიშნული ინტერვენციის წარმატებულად განხორციელებისთვის და რაც მთავარია განსაკუთრებული მადლობა გლობალურ ფონდს და დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს გაწეული დახმარებისთვის.

კონფერენციის გახსნისას მომხსენებლების მიერ გლობალური მდგომარეობის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით გაჟღერდა არაერთი საინტერესო მესიჯი: ყოველწლიურად ქვეყნები 100 მილიარდზე მეტს ხარჯავენ ნარკოტიკების კონტროლის სტრატეგიებზე, თუმცა შედეგად უმნიშვნელოდ მცირდება ნარკოტიკებზე მოთხოვნა და ნარკომოვაჭრეებიც მცირედ ბარალდებიან. ამ თანხის სულ რაღაც 10% რომ დაიხარჯოს ზიანის შემცირებაზე 2020 წლისთვის აივ/შიდსის ეპიდემია აღმოიფხვრება, შემცირდება ზედოზირებით გარდაცვალების რიცხვი. მაგ. 2014 წლიდან დღემდე კანადაში 327% გაიზარდა ზედოზირებით გარდაცვლილთა რიცხვი; ამერიკაში 137%; დიდ ბრიტანეთში 64%; ავსტრალიაში 61%. ჩვენი რეგიონის ქვეყნებისთვის ეს სტატისტიკა სამწუხაროდ არ არსებობს. კონფერენციას 1500-მდე წარმომადგენელი დაესწრო. ზიანის შემცირების სფეროს საერთაშორისო ექსპერტების მიერ არაერთი საინტერესო მოხსენება გაკეთდა. კონფერენციაზე ორგანიზაცია „ახალი ვექტორის“ ხელმძღვანელმა კოკა ლაბარტყავამ საერთაშორისო საზოგადოებას გაუზიარა ინფორმაცია საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა პირველი სათემო ორგანიზაციის შესახებ. მან ასევე ისაუბრა C ჰეპატიტის ელიმინაციის მხარდამჭერ პროგრამაზე, რომელიც სათემო ორგანიზაციის ბაზაზე განხორციელდა. აღნიშნული კვლევაში ყურადღება პაციენტებთან თანა-

ბარგანმანათლებლის პრინციპით მუშაობაზე იყო გამაზვილებული, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა პროექტის ფარგლებში ნარკოტიკების მომხმარებლების მკურნალობაზე დამყოლობის მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში. კონფერენციაზე უსაფრთხო ინექციის ოთახების საჭიროებაზე გამახვილდა ყურადღება. აღინიშნა, რომ უსაფრთხო ინექციის ოთახები დღეს მსოფლიოს 9 ქვეყანაშია. ვარაუდობენ, რომ ასეთი ოთახების რაოდენობა მსოფლიოში 2018 წლამდე რამდენჯერმე გაიზრდება. ზიანის შემცირების კონფერენციაზე ნარ-

კოპოლიტიკის მუზეუმის პრეზენტაცია გაიმართა. ის პრაქტიკულად წარმოადგენს ხელოვნების ნიმუშებისგან შემდგარ მოძრავ საცავს, სადაც სხვადასხვა ხელით შექმნილი ექსპოზიციითა და ნახატებით გამოცემულია რეპრესიული ნარკოპოლიტიკა შედეგები. მუზეუმი პირველად 2016 წელს შეიქმნა ფონდ ღია საზოგადოების მხარდაჭერით და მისი პირველი წარმოდგენა მოხდა ნიუ-იორკში. მუზეუმი ეტაპობრივად ყველა ქვეყანას შემოივლის და კიდევ უფრო გამდიდრდება სხვადასხვა საინტერესო ნამუშევრებით.

ჰუმანური ნარკოპოლიტიკა – ხელმისაწვდომი ჯანდაცვა



23 მაისს, ნარკოტიკების მომხმარებელთა და ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა, ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის მხარდაჭერით სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში მრგვალი მაგიდა სახელწოდებით – ჰუმანური ნარკოპოლიტიკა – ხელმისაწვდომი ჯანდაცვა გაიმართა. აღნიშნული ღონისძიების მხარდამჭერები გახლდნენ „გლობალური ფონდი“, „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“ და „მსოფლიო ექიმები – საფრანგეთი“.

მედიცინო პროგრამების გაუმჯობესება, გარდამავალი გეგმის ფარგლებში არსებული საჭიროებები და გამოწვევები, ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო კანონპროექტი და ყველა სხვა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჰუმანური ნარკოპოლიტიკის დამკვიდრების პროცესში – სასიცოცხლო მნიშვნელობას სძენს სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობას.

შეხვედრაში დარგის სპეციალისტები, სამოქალაქო საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელ ირმა ხონელიძის განცხადებით, უახლოეს მომავალში გლობალური ფონდი საქართველოს დატოვებს, რისთვისაც ქვეყანა მზად უნდა იყოს. ამ მიმართულებით არსებული გარდამავალი პერიოდის გეგმა თანამიმდევრულად სრულდება. პარალელურად, გადაიხე-

შეხვედრას ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მედია კოორდინატორი მარინა ასათიანი უძღვებოდა.

შეხვედრაზე განხილულ იქნა: საქართველოში არსებული ნარკოპოლიტიკის სიტუაციური ანალიზი, ნივთიერება დამოკიდებულ პირთათვის საჭირო სა-



დება ზედმეტად მკაცრი საკანონმდებლო გარემო, რომელმაც ბოლო წლების განმავლობაში ათასობით ნარკომომხმარებელი და მათი ოჯახები დააზარალა. ნარკოლოგიური სერვისების განვითარებაზე ისაუბრა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ხელმძღვანელმა დავით ოთიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ პრობლემური ნარკომომხმარებლების მხოლოდ 10%-ისთვისაა ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სერვისები, მათი უმეტესობა განსავითარებელია. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მწირ სერვისებზე. ქვეყანაში არ არსებობს არცერთი სრულფასოვანი რეზიდენტული სარეაბილიტაციო დაწესებულება, არ არსებობს პაციენტების სტაციონარული მკურნალობის შემდგომი მოვლისა და რეინტეგრაციის ინსტიტუციური მექანიზმები. ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის წარმომადგენელ ხათუნა თოდაძის განმარტებით, წამალდამოკიდებულების მკურნალობა, არსებული პროგრამები და გამოწვევები არცთუ ახლოა იდეალთან და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პროგრამა, მათ შორის ჩანაცვლებითი თერაპიის, საკმაოდ გამართულად მუშაობს, ასევე, წლიდან წლამდე იზრდება სახელმწიფო დაფინანსებაც. თუმცა ნარკობაზარი იმდენად ცვალებადი და დინამიურია, რომ ეს ხელს უშლის სპეციალისტებს ფეხდაფეხ მისდიონ არსებულ გამოწვევებს. მაგალითად, თვალსაჩინოდაა გაზრდილი პოლინარკომანიის მასშტაბები,

ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება და სხვ. ხათუნა თოდაძის თქმით, აუცილებელია ზიანის შემცირების პროგრამების მოუცველ რაიონებში ამოქმედება, მეთადონის ბინაზე გაცემის პრეცედენტის შექმნა სტაბილური პაციენტებისთვის და სხვ.

ორგანიზაცია „ახალი ვექტორის“ ხელმძღვანელმა კოკა ლაბარტყავამ სათემო ორგანიზაციების როლზე ნარკოტიკების მოხმარებელთათვის ზიანის შემცირების, სამკურნალო, სარეაბილიტაციო და სოციალური მომსახურების ხარისხის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე ისაუბრა. მან გასული წლის ადვოკაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად „ნარკოტიკების ეროვნული პლატფორმის“ შექმნა დაასახელა, რომელმაც ნარკოპოლიტიკის რეფორმით დაინტერესებული ყველა მხარე გააერთიანა.

შეხვედრაზე ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წარმომადგენელმა მედეა ხმელიძემ – გააჟღერა CEDAW რეკომენდაციები საქართველოს მიმართ ნარკომომხმარებელი ქალების ზიანის შემცირების სერვისებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

დისკუსიაში აქტიურად იყვნენ ჩართული ჯანდაცვის სამინისტროს და პარლამენტის წარმომადგენლები, რომლებიც ნარკოპოლიტიკის რეფორმირების იდეა იზიარებენ. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ბატონი კაკი ზოიძის მხრიდან დაფიქსირებული ზოგადი პოზიცია – ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის აუცილებლობის შესახებ. მისივე განმარტებით, ამ პროცესების დაჩქარებისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება – ნარკოპოლიტიკაზე ცნობიერების ამაღლების და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით. შეხვედრის შემდეგ დისკუსია გაიმართა. მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს მსგავსი შეხვედრების სამომავლოდ გამართვის აუცილებლობა, და ამ პროცესებში აქტიური წარმომადგენლობითი ჩართულობა.



შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის საერთაშორისო დღე

გაეროს ორგანიზაციების ინფორმაციით მსოფლიოში 36.7 მილიონი ადამიანია ინფიცირებული აივ ვირუსით. ეპიდემიის დაწყებიდან დღემდე ინფიცირებულითა რიცხვმა 78 მილიონ ადამიანს მიაღწია, ხოლო გარდაცვლილია 35 მილიონი ადამიანი. 2017 წლის აპრილის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულია 6311 შემთხვევა. შიდსი განუვითარდა 3507

პაციენტს. აივ დადებითი ადამიანების 43.8% ნარკოტიკების მომხმარებელია. შიდსის ვირუსმა უკვე 1279 სიცოცხლე შეიწირა. ანტივირუსულ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდამ მნიშვნელოვნად შეამცირა სიკვდილიანობის შემთხვევები, მაგრამ ინფიცირებულთა მხოლოდ 37% იღებს მისთვის საჭირო მკურნალობას. ანტივირუსულ მკურნალობაზე არც მკურნალობაზეა 3786 (მათ შორის აფხაზეთში – 441) პაციენტი. აივ ინფექცია/შიდსის მკურნალობა უფასოა საქართველოს ყველა მოქალაქისთვის.

24 მაისს, შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის საერთაშორისო დღეს ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელისა (GeNPUD) და ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის (GHRN) ორგანიზებით სოლიდარობის აქცია გაიმართა. აქციის მთავარი გზავნილი: ერთად დავამარცხოთ შიდსი! რეპრესიული ნარკოპოლიტიკა რეგრესია! მკურნალობა დასჯის ნაცვლად! აქციის მონაწილეებმა პუშკინის სკვერიდან რიყის პარკისკენ მსვლელობა გამართეს. მოსახლეობაში გავრცელდა სპეციალურად მსოფლიო დღისთვის შექმნილი საინფორმაციო მასალა. რიყის პარკში აქციის მონაწილეებმა სოლიდარობის ნიშანი გამოსახეს და სანთლების დანთებით პატივი მიაგეს შიდსით გარდაცვლილთა და რეპრესიული ნარკოპოლიტიკის შედეგად დაღუპულ მოქალაქეების ხსოვნას. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად სიმბოლურად საჰაერო ფრანები იქნა გაშვებული. შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის საერთაშორისო დღეს (The International AIDS Candlelight Memorial) გამართული აქციის მიზანია 36.7 მილიონი აივ-ინფიცირებული ადამიანისადმი გლობალური სოლიდარობის გამოხატვა, სტიგმისა/

დისკრიმინაციის შემცირება და მომავალი თაობისათვის იმედის მიცემა.

აქციის მიმდინარეობისას ქსელის წევრი სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, აივ დადებითმა ადამიანებმა, ნარკოტიკების მომხმარებლებმა და მათი ოჯახის წევრებმა მოქალაქეებთან და მედიის წარმომადგენლებთან ისაუბრეს აივ/შიდსის სამკურნალო და პროფილაქტიკური პროგრამების ხელმისაწვდომობაზე და უპირატესობებზე, და მოუწოდეს ხელისუფლებას დროულად აღმოიფხვრას ბარიერები, რაც თავის მხრივ ხელს უშლის აღნიშნული პროგრამების ეფექტიან განხორციელებას, დაავადების გამოვლენას, მოქალაქეების ზიანის შემცირების და სამკურნალო პროგრამებში დროულ ჩართვასა და დაყოვნებას.

დღეს ქვეყანაში მოქმედი რეპრესიულ ნარკოპოლიტიკა ეწინააღმდეგება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და ხელს უშლის სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობასა და ხარისხის უზრუნველყოფას. აქციის მონაწილეების მოწოდება სწორედ რეპრესიული ნარკოპოლიტიკის დაუყოვნებ-

ლივ ცვლილებას და ჰუმანიზაციის აუცილებლობას გულისხმობდა.

24 მაისის სოლიდარობის აქცია ასევე გაიმართა შემდეგ ქალაქებში: ბათუმი, ოზურგეთი, ქუთაისი, ორგანიზაციების „იმედი“, „ფენიქსი 2009“ და „რუბიკონის“ ორგანიზებით.

თბილისის სოლიდარობის აქციის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღეს სათემო ორგანიზაციებმა: „ჰეპა პლიუსი“, „ახალი ვექტორი“.



საქვემოქმედო გამოფენა აივ დადებითი ბავშვების დასახმარებლად აქცია აუსრულე სურვილი

შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, **29 მაისს** გალერეა შარდენში (სასტუმრო თბილისი მარიოტი) შიდსით დაავადებული და დაობლებული ბავშვების მხარდაჭერის საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.

აქცია „აუსრულე სურვილი“ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, ზიანის შემცირების საქართველოს

ქსელის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის, შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდის და თბილისის სამხატვრო აკადემიის მხარდაჭერით გაიმართა.

აქცია „აუსრულე სურვილი“ აივ/შიდსის სფეროში ერთ-ერთი მასშტაბური ღონისძიება იყო, რომე-



არასამთავრობო, სამთავრო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ აქციის ფარგლებში ყველა ნამუშევარი გაიყიდა. შეგროვებული თანხა გადაეცა შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდს შიდსით დაავადებული და შიდსით დაობლებული ბავშვებისთვის მათი საბაზისო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

დაბოლოს, აქცია „აუსრულე სურვილი“ აივ/შიდსთან მიმართებაში საზოგადოებრივი ცნობიერების და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების პირველი

ლიც საზოგადოებაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის იდეის პოპულარიზაციის ეხმარებოდა. გამოფენაზე აივ დადებითი ბავშვების დასახმარებლად 40-ზე მეტმა ქართველმა მხატვარმა წარმოადგინა საკუთარი ნამუშევრები. წარმოდგენილნი იყვნენ ცნობილი ქართველი მხატვრები: რუსუდან ფეტვიაშვილი, გია გუგუშვილი, ქეთი მატაბელი, დათო ალექსიძე, გია ბულაძე, ოლეგ ტიმჩენკო, ელდარ ქავშაია, ლევან ხარანაული, მამუკა ცეცხლაძე, ნიკო ცეცხლაძე, ქეთი შალამბერიძე, ლია შველიძე, ნანა ჭურღულია, ლეილა შელია, თუთუ კილაძე და სხვ.

ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, მერიის,



მცდელობაა. აქციის მიზანი იყო დაანახოს საზოგადოებას, რომ მცირეოდენი დანახარჯებითა და ძალისხმევით შესაძლებელია ადამიანთა, განსაკუთრებით კი საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრირება.

ვფიქრობთ, საზოგადოების მონაწილეობა აივ/შიდსით დაზარალებული პირების, განსაკუთრებით კი ბავშვების დახმარების პროგრამებში მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.



ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

რედაქტორი: მარინა ასათიანი

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ
დაუკავშირდეთ ზიანის შემცირების საქართველოს
ქსელის მედია კოორდინატორს მარინა ასათიანს
ელექტრონულ მისამართზე
marinaasatiani@yahoo.com

ან

მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები, შეხედულებები,
გაგვიზიარეთ საკუთარი გამოცდილება და საქმიანობაში
მიღწეული წარმატებები მისამართზე:

თბილისი, 1060, ჟ. შარტავას 24,
მე-3 სართული, ბ. 6
ტელ.: ოფისი: +995 322 37 21 60
ელ. ფოსტა: *info@hrn.ge*
ვებ-გვერდი: *www.hrn.ge*

